

## საუნივერსიტეტო სტიპენდიები

ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნა და გაცემა რეგულირდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 29 სექტემბრის №04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესით (იხილეთ დანართი 4 )

ბსუ-ს სტიპენდიები ენიშნებათ:

ა) ბსუ-ს ბაკალავრიატის პირველი სასწავლო წლის სტუდენტებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდებით სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ განაცხადში (სარეგისტრაციო ანკეტაში) პირველ ნომრად მითითებულ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე და, ამასთან, ვისაც მეოთხე დამატებით გამოცდაზე მიღებული აქვს ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა შორის ყველაზე მაღალი (სკალირებული) ქულა. სტიპენდია (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) გაიცემა პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში 1 ოქტომბრიდან თებერვლის ჩათვლით პერიოდში.

ბ) „ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსნისათვის“ (ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მიღწეული წარმატებით (ვისაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვს შეფასება არანაკლებ „მალიან კარგი“).

გ) „ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის“ (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე სემესტრიდან ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების იმ სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან სწავლაში მიღწეული წარმატებით (ვისაც წინა სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში აქვს შეფასება „ფრიადი“).

დ) „სახელობითი სტიპენდია“ (ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით) – სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) შესაბამის ფაკულტეტებზე, ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში „საშუალოშეწონილი“ ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები).

ე) ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია (312 ლარის და 50 თეთრის ოდენობით) - ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები და გამოირჩევიან სწავლაში წარმატებებით (შეფასებები 81 ქულა და მეტი). სტიპენდია ინიშნება სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან), თუ გასული სასწავლო წლის (წლების) განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში მიღებული აქვს შეფასება „კარგი“ (შეფასებები 81 ქულა და მეტი). სტიპენდიის მისაღები პერიოდი მოიცავს შესაბამისი სასწავლო წლის ოქტომბრიდან ივლისის ჩათვლით პერიოდს.

ვ) საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდია (200 ლარის ოდენობით 1. შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია; 2. ხუსეინ ნაკაიძის სახელობის სტიპენდია) - სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან) შესაბამის ფაკულტეტებზე, ბსუ-ს

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინებში „საშუალოშეწონილი“ ფორმულით მიღებული აქვთ 91 ქულა და მეტი და რომლებიც გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები).

ზ) გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის ერთჯერადი სტიპენდია - ბსუ-ს სტუდენტის მიერ უცხოეთში ათვისებული კრედიტების აღიარების შესაბამისად გამოიცემა რექტორის ბრძანება ერთჯერადი სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე. სტიპენდიის ოდენობა არის სტუდენტისათვის აღიარებული კრედიტების საფასურის ექვივალენტი... სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების გამოცემის საფუძველია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი და სტუდენტის განცხადება (დანართი 4, 5).